„ჩვენი საქართველო -სოლიდარობის ალიანსი“

19

საარჩევნო პროგრამის 19 პრინციპი

„ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსი“ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის გთავაზობს საარჩევნო პროგრამას, რომელიც გაეროს მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებს ეფუძნება და რომლის ამოცანაა, ხელშესახები წინსვლა მოიტანოს საქართველოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების გზაზე.

კორონავირუსით გამოწვეულმა გლობალურმა პანდემიამ კი კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. ჩვენი გეგმა საქართველოში შექმნილ ამ ახალ რეალობასაც პასუხობს.

ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ჩვენს მიერ შემუშავებული ყველა ინიციატივის დანერგვა ქვეყანაში აღმოფხვრის სიღარიბეს, შეამცირებს უთანასწორობას, განამტკიცებს საქართველოს სუვერენიტეტს და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზას, ხელს შეუყობს ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების განვითარების, ადგილობრივ წარმოებას, იმპორტის ჩანაცვლებას, ექსპორტის წახალისებას, სოფლის მეურნეობის გაძლიერებას, სასურსათო უსაფრთხოებას, ხარისხიანი ჯანდაცვისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობას და ჩვენი საზოგადოების ოჯახების კეთილდღეობას როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

„ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის“ საარჩევნო პროგრამა ქვეყნის წინაშე მდგრადი პრობლემებიდან გამომდინარე 19 კონკრეტულ ინიციატივას მოიცავს.

1. ჩვენ დავნერგავთ სამართლიან საგადასახადო სისტემას

თუ თქვენი ყოველთვიური ხელფასი არ აღემატება 1000 ლარს თქვენი შემოსავალი დაიბეგრება არა 20% არამედ 10%- ით, ხოლო 1000-დან 1500 ლარამდე შემოსავალის შემთხვევაში მხოლოდ 13%-ით. ეს შეღავათი 620 000 ადამიანს შეეხება, რის შედეგადაც გაიზრდება მათი ოჯახების სოციალური მდგომარეობა და მსყიდველუნარიანობა. გაზრდილი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ 5 000 ლარზე მეტი თვიური ხელფასი. ამით სახელმწიფო ბიუჯეტში მოხდება დამატებითმინიმუმ 80 მილიონი ლარის მობილიზება. ჩვენს მიერ მიღებული ყველა ეს ზომა აღმოფხვრის სიღარიბეს, შეამცირებსუთანასწორობას და გაზრდის მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას.ინიციატივის შედეგად გაიზრდება დაბალშემოსავლიანი ოჯახების მსყიდველუნარიანობა, ადგილობრივ პროდუტზე მოთხოვნა, მიიღწევა ეკონომიკის დამატებით მინიმუმ 1% ზრდა.

2. ჩვენ ყველა ადამიანს შევუქმნით ღირსეულ შრომით პირობებს

საქართველოში დაწესდება მინიმალური ხელფასის დონე (საშუალო ხელფასის 45%), რაც დღევანდელი მდგომარეობით 540 ლარს შეადგენს და რომელიც ყოველწლიურად გაიზრდება. ზეგანაკვეთური შრომა ანაზღაურდება 1,5 კოეფიციენტით, ხოლო ღამის შრომა - 1,25 კოეფიციენტით.

3. ჩვენ დავნერგავთ უმუშევრობის დახმარების სისტემას

თქვენს მიერ ბიუჯეტში გადახდილი საშემოსავლო გადასახადიდან 2% მიემართება უმუშევრობის დახმარებაზე. თუ თქვენ 6 თვის განმავლობაში მაინც იხდიდით საშემოსავლო გადასახადს, სამსახურის დაკარგვის შემთხვევაში 3 თვის განმავლობაში მიიღებთ დაკარგული ხელფასის 70%-ს, ხოლო მომდევნო 3 თვეში - ხელფასის 50 %-ს.

საარჩევნო პროგრამის 19 პრინციპი

4. შევქმნით ბიზნესის დაფინანსების ახალ მოდელს და ხელს შევუწყობთ ადგილობრივ მრეწველობას

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და საბიუჯეტი რესურსებით შეიქმნება საქართველოს ეკონომიკური განვითარების ბანკი, რომელიც დააფინანსებს ადგილობრივ წარმოებას, სოფლის მეურნეობას და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სხვა პროექტებს. სახელმწიფო განვითარების ბანკი უზრუნველყოფს 15 წლამდე დაფინანსებას დაბალი საპროცენტო განაკვეთით. დაფინანსდება სტრატეგიული მნიშვნელობის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საავიაციო ინდუსტრიას, მანქანათმშენებლობას, დიზაინს და მსუბუქ მრეწველობას, სამედიცინო და ფარმაცევტულ მრეწველობას, სამედიცინო ტურიზმს, სამშენებლო მასალისა და ავეჯის წარმოებას. ჩვენ მოვახდენთ იმპორტის ჩანაცვლებას ადგილობრივი პროდუქციით და ხელს შევუწყობთ ექსპორტის ზრდას. ეს შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, გაამყარებს ლარს და შეამცირებს ინფლაციას.

5. ჩვენ უზრუნველვყოფთ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებას

მხოლოდ კოოპერატიულ მეურნეობებს შეუძლიათ მცირე მიწიანობისა და მიწის ფრაგმენტაციის პრობლემის დაძლევა ქვეყანაში. ჩვენ წავახალისებთ სათემო და დარგობრივი კოოპერატივების ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც მოსავლის მოყვანას, ისე პროდუქტის გადამუშავებას, შენახვას ერთი კოოპერატივის ფარგლებში. შეიქმნება კოოპერატიული აგროსასურსათო საკრედიტო სისტემა, სადაც გაერთიანებული მეპაიეები (კოოპერატივები) სახელმწიფოს თანადაფინანსების საფუძველზე (დღეს არსებული სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი სახელმწიფო ფინანსების კონსოლიდაციითა და საკრედიტო სისტემაში მიმართვით) გასცემენ დაბალ პროცენტიან კრედიტს. ეს შეამცირეს კომერციულ ბანკებზე დამოკიდებულებას, რომელთა სერვისით განსაკუთრებით მცირე მიწიანი ფერმერები ვერ სარგებლობენ. ჩვენ შევქმნით გარანტიებს როგორც ფერმერების მაღალ შემოსავალის, ისე ქვეყნის ადგილობრივი, უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით უზრუნველსაყოფად.

6. ჩვენ შევქმნით არა ადამიანის ფიზიკურ გადარჩენაზე, არამედ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალურ პოლიტიკას

გაიზრდება საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი. სოციალური დახმარების დანიშვნა მოქალაქეებისთვის გახდება გამჭვირვალე და განჭვრეტადი. თუ ოჯახის ერთი წევრიც დასაქმდება და მისი ხელფასი იქნება ოჯახისთვის საკმარისი საარსებო მინიმუმის შესაბამისი, ან ნაკლები, ოჯახს შეუნარჩუნდება ყველა ის ფულადი თუ არა ფულადი დახმარება, რასაც სახელმწიფო სთავაზობს.

7. ხარისხიანი ჯანდაცვა გახდება საყოველთაო და აღარ გააღარიბებს ოჯახებს

ჯანდაცვის სისტემის საყრდენი უნდა გახდეს პირველადი მედიცინა და რეგიონალური, არაკომერციული სახელმწიფო ჰოსპიტალები. ჩვენი მიზანია დღეს არსებულ კერძო კლინიკებთან ერთად სახელმწიფო მუნიციპალური კლინიკების ქსელის განვითარება, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების რეფორმა, სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და პაციენტებისა და მედიკოსების უფლებების დაცვის ეფეტქური მექანიზმების შექმნა. ჩვენი პროგრამა გააიაფებს ჯანდაცვით ხარჯებს და გაზრდის ხარისხიან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობას. გაიზრდება სპეციალიზირებული სამედიცინო სერვისის ხელმისაწვდომობა მ.შ. ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრის, შშმპ სარეაბილიტაციო სერვისების, ფსიქიკური ჯანმრთელობის, პალიატიური და იშვიათი დაავადებების მართვის მიმართულებით.

საარჩევნო პროგრამის 19 პრინციპი

19

8. ჩვენ არც ერთ ოჯახს არ დავტოვებთ უსახლკაროდ და უპირველესად დევნილ მოსახლეობას
დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, კანადის, ფინეთის და სხვა ქვეყნების გამოცილებით ამოქმედდება სახელმწიფო საბინაო პოლიტიკა, რომ თითოეული მოქალაქე იყოს უზრუნველყოფილი „ღირსეული საცხოვრისით“. დღეს მოქმედი საპენსიო ფონდის საფუძველზე შეიქმნება საბინაო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ და სოციალურ ბინათმშენებლობას და სტუდენტური საერთო საცხოვრებლების ქსელის განვითარებას. ამ შესაძლებლობით ისარგებლებენ უპირველეს ყოვლისა დღემდე უბინაოდ დარჩენილი 40,000 დევნილი ოჯახი, ახალგაზრდა და მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირები და ვეტერანები. აიკრძალება ოჯახების უკანასკნელი საცხოვრებლიდან გამოსახლება.

9. ჩვენ უფროს თაობას საპენსიო ასაკში შევუქმნით ღირსეული ცხოვრების პირობებს
დღევანდელი ინდივიდუალური დაგროვების საპენსიო სისტემა შეიცვლება თაობათა შორის სოლიდარობის სქემით და დაეფუძნება ნამსახურეობის პრინციპს. დაბალშემოსავლიანი პირები მიიღებენ შედარებით მაღალ დაგროვებით კოეფიციენტს. საპენსიო ფონდში მხოლოდ 1 წლის შენატანის შემთხვევაშიც პენსიონერები მიიღებენ გაზრდილ პენსიას. მძიმე და მავნე პირობებში დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ პენსიაზე 5 წლით ადრე გასვლის შესაძლებლობა. პარალელურად, გაგრძელდება პენსიის რეგულარული ზრდა ინდექსაციის და ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. საპენსიო ასაკის მოქალაქეებისათვის ყველა ქალაქისა და სოფლის მუნიციპალიტეტებში ამოქმედდება პენსიონერთა სოციალიზაციისა და თაობათაშორისი თანამშრომლობის დღის ცენტრები - „სიბრძნის სახლები“, სადაც უფროსი ასაკის პირებს მიეცემათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო აქტიური როლის შესრულება. მარტოხელა პენსიონერებისთვის კი გაფართოვდება შინმოვლის პროგრამები.

10. სოციალური მდგომარეობა აღარ იქნება ხარისხიანი განათლების მიღების წინაღობა
მნიშვნელოვნად გაიზრდება განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება ყველა საფეხურზე. ყველა ბავშვს მიეცემა სკოლამდელი განათლების მიღების შესაძლებლობა, გაიზრდება პედაგოგთა ხელფასები ყველა საფეხურზე. სახელმწიფო უნივერსიტეტები გადავა პირდაპირ დაფინანსებაზე და მიზნობრივი პროგრამები განხორციელდება განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და მეცნიერების ხელშესაწყობად. ერთ-ერთი ინიციატივა იქნება < 200 000 ქულის მქონე ოჯახების თითოეულ ბავშვზე დამატებით 100 -150 ლარიანი ვაუჩერის გაცემა, პირობით, რომ აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, ბავშვი რეგულარულად ივლის სკოლის შემდგომ გახანგრძლივებულ კლასში და რეგულარულად გაივლის სამედიცინო შემოწმებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილების ფიზიკურ და აკადემიურ განვითარებას.

11. ჩვენ წარმოვაჩენთ ქართულ კულტურას როგორც საქართველოში, ისე გლობალურად
კულტურის სამინისტრო კვლავაც ცალკე უწყებად უნდა ჩამოყალიბდეს და სულ მცირე 5-ჯერ უნდა გაიზარდოს კულტურის სფეროს დაფინანსება. ამასთანავე, თანმიმდევრულად უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ხელოვნების დარგების მიხედვით (ქართული კინო, თეატრი, სამუზეუმო, შემოქმედებითი ინდუსტრიები და სხვ.) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები. კულტურის პოლიტიკა უპირველესად საქართველოს კულტურული თვითმყოფადობის პოპულარიზაციასა და შენარჩუნებას უნდა ემსახურებოდეს გლობალიზაციის ეპოქაში. ჩვენ გლობალურ პოლიტიკაში საქართველოს წარმოვაჩენთ ახალი როლით - როგორც მშვიდობისა და ტოლერანტობის ცენტრს რეგიონში, როგორც უნიკალური, თვითმყოფადი კულტურის მქონე სახელმწიფოს, როგორც ინოვატორ ქვეყანასა და „ქრისტიანული აღმოსავლეთის ცენტრს“.

12. არა ნარკოტიკს და აზარტულ თამაშებს

საქართველოს სჭირდება გააზრებული და დაბალანსებული ნარკოპოლიტიკა. მკაცრად უნდა გაიმიჯნოს ნარკოტიკების მოხმარება რეალიზაციისგან და ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან უკიდურესად უნდა გამკაცრდეს სანქციები ქვეყანაში ნარკოტიკების შემომტანთა და რეალიზატორთა მიმართ. ნარკოტიკების მოხმარება კი, მათ შორის მოხმარების პრევენცია/მკურნალობა/რეაბილიტაცია მთლიანად უნდა მართოს ჯანდაცვის სისტემამ. გარდა ამისა, უნდა აიკრძალოს აზარტული თამაშების რეკლამა. ოჯახის წევრების მიმართვის საფუძველზე შესაძლებელი გახდება თამაშ-დამოკიდებული წევრის ბაზაში შეყვანა, რომელსაც შეეზღუდება უფლება ითამაშოს როგორც ონლაინ ისე დარბაზში. პარალელურად მოხდება მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა ნებისმიერი სპორტის სახეობა იყოს ყველა ახალგაზრდისათვის ხელმისაწვდომი. ყველა მუნიციპალიტეტში მოეწყობა მრავალპროფილური ახალგაზრდული ცენტრები. ჩვენი მიზანია არა დასჯა, არამედ ახალგაზრდების თვით რეალიზაცია და მათი შემოქმედებითი უნარების განვითარება.

13. განსაკუთრებულ მხარდაჭერას გავუწევთ შშმ პირებს და მათ ოჯახებს

ეტაპობრივად მოხდება შშმ პირთა სრულფასოვანი გადაადგილებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. კერძო და საჯარო პარტნიორობისა და სოციალური საწარმოების საფუძველზე დაინერგება შშმ პირთა დასაქმების მექანიზმები. გაფართოვდება დღის ცენტრების ქსელი. მოხდება მშობელთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და მხარდაჭერა. შშმ მომვლელ პირებზე (ოჯახის წევრების ჩათვლით) დაინიშნება მინიმალური ხელფასის შესატყვის ანაზღაურება.

14. გავუადვილებთ ჩვენს ემიგრანტებს საქართველოსთან კავშირს და სამშობლოში დაბრუნებას

მიზნობრივი პროგრამები ამოქმედდება ემიგრანტებისათვის. სისტემურად მოხდება დიასპორაში მოღვაწე ქართველი პროფესიონალების გამოცდილების გამოყენება და საქართველოში დაბრუნების ხელშეწყობა. გაძლიერდება საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლები, ქართველოლოგიის ცენტრები და მათი თანამშრომლობა საქართველოს განათლების ცენტრებთან.

15. გავაძლიერებთ საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას და მწვანე ეკონომიკას

ენერგიის წყაროების გაფართოების (დივერსიფიკაციის) მიზნით ჩვენ ხელს შევუწყობთ მზის, ქარის, გეოთერმული და სხვა სახის განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარებას. მეგა პროექტების პარალელურად მოხდება მცირე ენერგეტიკული პროექტების განვითარება, რაც დროშიც სწრაფია და გარემოზე ნაკლებ გავლენას ახდენს, არ სჭირდება მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების აშენება და შესაბამისად არც მოსახლეობისთვის მიწების ჩამორთმევა და ტურისტული ადგილები დამახინჯდება იქნება საჭირო. მოხდება მცირე და მიკრო მეწარმეების დახმარება განახლებადი ენერგიის მცირე ზომის პროექტების განხორციელებაში, რაც გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე. რეფორმა ხელს შეუწყობს ენერგიის დეფიციტის შემცირებას ზამთრის თვეებში, ხოლო მცირე ჰესების შემთხვევაში - გაზრდის მათ საიმედოობას. პროექტები დაფინანსდება საპენსიო ფონდიდან და ეკონომიკური განვითარების ბანკიდან. არსებულ საჯარო ტრანსპორტს ჩავანაცვლებთ ეკო-მეგობრული ტრანსპორტით და ხელს შევუწყობთ იგივე ტენდენციას კერძო სატრანსპორტო საშუალებების მიმართულებით. სამშენებლო კოდექსის საფუძველზე მუნიციპალიტეტებისთვის დადგინდება განაშენიანების ახალი მკაცრი სტანდარტები, რომლებიც გაზრდის საზოგადოებრივი და რეკრეაციული სივრცეების მოცულობას. ხელს შევუწყობთ ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას. გავამკაცრებთ წიაღისეულის მოპოვებაზე სალიცენზიო ნებართვებს როგორც მისი გადახედვის საფუძველზე, ისე ახალი ნებართვის გაცემის დროს.

16. დემოკრატიულ მმართველობას ვაქცევთ უწყვეტ პროცესად თვითმმართველობის გაძლიერებით
ადგილობრივი დემოკრატიის განსახორციელებლად სოფელს მიენიჭება იურიდიული სტატუსი. სოფლის (თემის) ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსი (მიწა, ტყე, წყალი) გადავა სოფლის სარგებლობაში გაყიდვის უფლების გარეშე. სოფელი წელიწადში ერთხელ აირჩევს სოფლის საბჭოს 5 წევრს არაპარტიული ნიშნით. აირჩევს რწმუნებულს, რომელსაც ურთიერთობა ექნება ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მოხდება სოფლის თემის გაძლიერება და რესურსის ყაირათიანი ათვისება.

17. გავაძლიერებთ საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციას და დაცვას, როგორც ძლიერი სახელმწიფოს საფუძველს
ჩვენ შევქმნით საჯარო სამსახურის უმაღლეს სკოლას, სადაც ახვადასხვა სასწავლო მოდულების საფუძველზე მოხდება საჯარო მოხელეების მომზადება და გადამზადება. სკოლა იქნება მთავარი ფილტრი საჯარო სამსახურში დასაქმებისთვის. ეს რეფორმა აღმოფხვრის ნეპოტიზმს და გაზრდის საჯარო მოხელეების კვალიფიკაციას. პარლამენტში ამოქმედდება მუდმივმოქმედი ანტიკორუფციული კომისია. ამასთანავე, გაძლიერდება პროფესიული კადრების დაცვის მექანიზმები, რომ გამოცდილი დარგის სპეციალისტები არ კარგავდნენ სამსახურს ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის ცვლილებასთან ერთად.

18. დავნერგავთ რეფორმებს სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულებისთვის
იუსტიციის საბჭო აირჩევა პირდაპირი წესით. მოხდება უზენაესი სასამართლოს წევრების ხელახალი არჩევა პირდაპირი. დაწესდება მკაცრი კრიტერიუმები როგორც იუსტიციის საბჭოდან მოსამართლეთა კანდიდატების შესარჩევად, ასევე პარლამენტში მათ დასამტკიცებლად. პარლამენტში ამოქმედდება მუდმივმოქმედი ანტიკორუფციული კომისია. მართლმსაჯულების სისტემაში უფრო სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების უზრუნველყოფა რეალური რეფორმებით (სპეციალური კოლეგიები) მოხდება. მოხდება 2004 წლიდან გაფორმებული უსამართლო საპროცესო შეთანხმებების გადახედვა და დაზარალებულების უფლებების აღდგენა.

19. მშვიდობას და საქართველოს ევრო-ატლანტიკურ არჩევანს ალტერნატივა არ აქვს
დასავლეთი ჩვენთვის უპირველეს ყოვლისა ღირებულებათა სისტემა და დასავლეთთან ინტეგრაცია ცივილიზაციური არჩევანია. ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ჩვენს მთავარ საგარეო ვექტორს წარმოადგენს. ისტორიულმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ომი აფერხებს ამ მიზნის მიღწევას. ამიტომ ჩვენი ძალისხმევა მაქსიმალურად მიმართული იქნება, რომ საქართველო მომავალში იქცეს არა დაპირისპირების, არამედ სინერგიისა და მშვიდობის სივრცედ. ევროპა სწორედ მშვიდობის პროექტი და საქართველოს დე-ოკუპაციის გარანტიაა. „დიდი შერიგებაც“ აფხაზებთან და ოსებთან მხოლოდ ქვეყნის მშვიდობიანი და სტაბილური ეკონომიკური განვითარების საფუძველზე არის შესაძლებელი. პარალელურად უნდა მოხდეს სახალხო, საგანმანათლებლო და სამედიცინო დიპლომატიის გაძლიერება. რაც მთავარია, არაღიარების პოლიტიკისა და საერთაშორისო ინსტრუმენტების გააქტიურების კვალდაკვალ, მოხდება ჟენევის ფორმატის მაღალ დონეზე გადატანა საქართველოს, აშშ, ევროკავშირისა და რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური პირების ჩართულობით. დეოკუპაციამდე კი ჩვენ დევნილი ოჯახების განსაკუთრებული მხარდაჭერას გპირდებით. დღემდე უბინაოდ დარჩენილი 40 000 დევნილი ოჯახი მიიღებს საკუთარ საცხოვრებელს ან ფულად კომპენსაციას 2023 წლამდე.